# ქართული ენის ოლიმპიადა

## 2014-2015

## I ტური

ამ ტესტის შესრულებით თქვენ ღებულობთ მონაწილეობას „საატესტატო და ეროვნული გამოცდებისა" და „EXAM.GE"-ს ოლიმპიადაში.

ოლიმპიადის პირველი ტური ტარდება ელექტრონულად.
გთხოვთ, შეავსოთ პასუხების ფურცელი მითითებული დავალებების ნომრების შესაბამისად.

ტესტის პასუხები ცნობილი გახდება I ტურის დასრულებიდან 14 სამუშაო დღის შემდეგ.

ტესტის მაქსიმალური ქულა: 25

გისურვებთ წარმატებას!

- გაეცით შეკითხვებს პასუხი. (3 ქულა)

| ინსტრუქცია |
| --- |
| ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული შეკითხვები. გაეცით პასუხი დასმულ შეკითხვას. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1. |

**1-3. მოცემული მონაკვეთის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს.**

**მელიქ-სურხავის სასახლეში დატყვევებულმა ნესტან-დარეჯანმა უთხრა მცველებს:**

„არ ვარგვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდეგანია;
მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო-ტანია!
სხვასა რას მნუკევთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია,
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია.
უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;
ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,
მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწყებთ ნანასა!“

**1. განმარტეთ, რა ხიფათს უქადის მცველებს ნესტანის შესაძლო თვითმკვლელობა.**

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

**2. განმარტეთ, რას სთხოვს ნესტანი მცველებს განძის სანაცვლოდ.**

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

**3. დაასახელეთ, ნესტანის რა თვისება ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში.**

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

- არგუმენტირებული ესე (15 ქულა)

**ინსტრუქცია**

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული პირობა და არგუმენტირებულად, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ნაწერი, რომელიც არ უპასუხებს სათაურს არ გასწორდება.

**საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ,,მართლის მთქმელ კაცს, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“**

- **წერითი დავალება**

**ინსტრუქცია**

ყურადღებით გაეცანით პირობას. ისაუბრეთ ნაწარმოებში მოყვანილი პერსონაჟის მხატვრული სახის შესახებ. ნაწერი არ უნდა იყოს ტექსტის პერიფრაზი. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები **„კაცია-ადამიანი?!“** და იმსჯელეთ, ლუარსაბის მხატვრული სახის შესახებ.

გისურვებთ წარმატებას!